

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ ТИФЛИСЬ, ВЪ РЕДАКЦІЮ „ДРОБНА“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-ღვინო რაშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

ხუთი წელიწადი სათავად-აზნაურსა სკოლის არსებობისა.

თბილისი, მაისის 5-ს.

ღეს, საღამოს 6 საათზე, სათავად-აზნაურს სკოლის დარბაზში (ძველი ინსტიტუტის ქუჩა, ბაისალოლოვის სახლები) დანიშნულია წლიური კრება თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის, ანუ მღაბიურად რომ ვთქვათ, სათავად-აზნაურთა სკოლის საზოგადოებისა. ეს სკოლა წელს ხუთის წლისა შესრულდა და თითქმის სრული მოგება ჩვენის საადგილ-მამულა ბანკისა იმას უნდება, მაშასადამე, საზოგადოებას ნებაცა აქვს და მოვალეობაც აწევს ამ სკოლის ანგარიში გულმოდგინედ მოისმინოს, გასინჯოს მისგან მოტანილი წარსულში სარგებლობა და მომავალი გზა გამოირკვიოს.

სათავად-აზნაურთა სკოლას, ვიდრე იგი წარმოადგენდა მხოლოდ მოსამზადებელ სკოლას და ამზადებდა ბავშვებს საშუალო სასწავლებლების პირველ კლასში შესასვლელად, განსაკუთრებული სახე ჰქონდა და გამოირკვეული პროგრამაც. მხლა საქმე სხვაფერად არის დაყენებული. მხლა ამ სკოლაში მოსამზადებელ კლასს გარდა ორი პროგიმნაზიული კლასი არსებობს და მომავალ აკადემიურ წელი-

წელში მესამეც მიემატება. მაშასადამე, აუცილებლად საქიროა, რომ საზოგადოებამ ამ სკოლისამ ანუ კომიტეტმა გადაწყვეტილი დაადგინოს, რა სახე უნდა მიეცეს ამ სკოლას მომავალში და რომელი საშუალო სასწავლებლისათვის უფრო უნდა ამზადებდეს იგი ბავშვებს. სამწუხაროდ, არ შეგვიძლიან არ ვუსავედლოთ გამგე კომიტეტს ამ სკოლისას, რომ იგი აქამდისაც მეტად თავის-ნებად მოიქცა, როდესაც პირველსა და მეორე კლასს კლასიკური ხასიათი მისცა და მით მოუსწრა ამ სკოლის მოწაფეებს საშუალება სხვა სასწავლებლებში შესვლისა, თუ არ კლასიკურ გიმნაზიაში.

ჩვენის აზრით, ეს დიდი შეცდომაა კომიტეტის მხრივ: ამ სკოლის მოსამზადებელი კლასი, მართალია, ისევე ძველს ყალიბზე უნდა დარჩეს, რადგან იქიდან ბავშვებს ყველაზე შეუძლიან შესვლა, როგორც კლასიკურ გიმნაზიებში და რეალურ სასწავლებლებში, ისე კადეტის კორპუსებში, მაგრამ პროგიმნაზიულ კლასებში კი უმჯობესი იქნება ისეთი პროგრამა შემოიღონ, რომელიც მისცემს ბავშვებს შეძლებას რეალურ სასწავლებლებში და კორპუსებში შესვლისას. მართალია, ამით კლასიკური გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების კარები გამოხსნებოდა მათ, მაგრამ ამ ორ-გვარ სასწავლებ-

ლებში პირველის ამორჩევა სჯობს; ჯერ ერთი იმიტომ, რომ უფრო ბევრი სასწავლებლები იქნება მათთვის ღია და მეორე იმიტომ, რომ თუ ჩვენის სათავად-აზნაურთა სკოლის პროგრამა უფრო რეალურ სასწავლებლების პროგრამაზე იქნება მოწყობილი, მოწაფეები უფრო მეტს ცოდნას შეიძენენ, უფრო საფუძვლიანსაც და უფრო გამოსაყენებელსაც; ვიდრე კლასიკურ გიმნაზიებში. ამას გარდა, თუ უმეტესი ღონე არ ექნება ჩვენს თავად-აზნაურობას, შეიძლება პროგიმნაზიულ კლასებთან ერთად დააწესოს სამეურნეო სასწავლებელიც და მით მისცეს საშუალება იმათ, რომელთაც უმაღლესი სწავლა არ ეღირსებათ, მიიღონ პრაქტიკული სამეურნეო სწავლა მაინც და ბოლოს საზოგადოების სასარგებლო წევრნი შეიქმნენ.

მართოს სიტყვით, ამ სკოლის გამგე კომიტეტმაც და თითონ საზოგადოებამაც კარგად უნდა მოიფიქრონ ამ სკოლის მომავალზე და საბოლოოდ რომელსავე გამოკვლეულ გზას დაადგენ. **შინაური პროცესი** — ამ ცოტას ხანში, ჩვენს ქვეყნის კამერალიის აღწერას შეუდგებიან. როგორც შევეტყუეთ მართლ-მანეთში

ამ საქმის შესასრულებლად დანიშნულნი არიან თურმე მოხელენი, რომელთესაც კამერალიის აღწერის დროს სოფლით-სოფლიად სიარული და ყოველ-გვარი ცნობების კომლექტურად მოგროვება გასაქირი იქნება...

— ჩვენ შევეტყუეთ, რომ თ. ნ. შმატუნის ძარღანანის მამული (აფხაზისეული) უყიდნია გრაფ შერემეტეევს 82000 მანათლად. ზრაფ იშერემეტეევი ამ მამულის გამშენიერებას და დიდძალი ფულის ჩაყრას აპირობს.

— ბაკურციხილამ გვეწერს, რომ აპრილის 24-ს იქ მიბძანებულა ბ. გუბერნატორი და აუხსნია შეკრებილ გლეხ-კაცობისათვის „ნადელების“ შესყიდვის საქიროება. ბევრი მებატონები დაპირებიან მორიგებით გათავებას და ზოგიერთებს ამ საგანზედ კიდევ დაუწყვიათ თავიანთ ნაყმებთან მოლაპარაკება.

— ძახეთილამ გვეწერს: ახლავე შემოგვეჩევა სეტყვა. რაც გამოზაფხულებულა, ისე კვირას არ გაუფლია, რომ რომელიმე მხარე სიღნაღის მაზრისა არ დაესეტყვოს. მერე ზოგჯერ ისე დიდხანს მოდის ხოლმე სეტყვა, რომ მიწას სულ მთლად ათეთრებს. მართალია, ჯერ-ჯერობით საგრძნობელი ვნება არა მოუტანია, მაგრამ თუ ასე

„დროების“ ქელტონი მაისის 5-ს.

პროცესორი პატარაში და მართული ისტორიის წყაროები.

VI ტომი (დასასრული*)

ბ) რა მნიშვნელობას აძლევდნ როგორათაც ძველად, აგრეთვე შემდგომში სომხეთის მწერალნი ქართულ წყაროებს, აი ამისი დამამტკიცებელი საბუთი. ჩვენ უჭყენეთ ზემოთ „სომხური ხრონიკა“ ანუ უკეთ „ქართული ხრონიკა“ ქართულიდამ სომხურად ნათარგმნი მე-XII საუკუნეში. ბარდა ამისა, ერთმა „აზიურის საზოგადოების“ წევრთაგანმა, რომელიც ქართულის ისტორიის შესწავლას შეუდგა, განსვენებულმა შულცმა, თავის არხეოლოგიურ მოგზაურობაში 1830 წ. აღმოაჩინა სომხურ ენაზე ხრონიკა, რომელიც იმის სიკვდილის შემდეგ—შულცი მოკლეს ქურთებმა—იმის ქალღმერთი იპოვეს. ეს ხრონიკა შეიცავდა წელთაღწერას 1201 წლიდან 1755 წლამდე. მისი თარგმანი იყო სენ-მარტენმა და, როგორც აღმოჩნდა, ის ხრონიკა არის ერთი ვარიანტთაგანი ქართულიდამ სომხურს ენაზე ნა-

თარგმნი, ჩვენი მატანე თვით მახუმტის ისტორიაში ჩართული.—შველას სმენია სახელი ერთის გამოჩენილის ტაოს ანუ ზემო-მართლის ბაგრატილის ღვით დიდის კურატალატისა, რომლის სიკვდილს მოიხსენებენ 1001 წელს. ღვითის მოღვაწეობას და მეტადრე მისგან წარგზავნას ქართველის ლაშქრისას ბიზანტიის იმპერიის შესაწვევლად, ბარდა სკლიაროსზე, რომელმაც მთელი ბიზანტია ააღელვა, მოგვითხრობენ ბიზანტიელინი, სომხეთის მწერალნი აზოლიკი და ლაზდივერი, ზარზმის წარწერა და სხვა ქართული წყაროები. დაწვრილებით ამბავს ამ გალაშქრებაზე გადმოგვცემს ერთი მანუსკრიპტი ტყავზედ ნაწერი X—XI-ს საუკუნისა, რომელიც ეკუთვნის ივერიის მონასტერს აიონისას და რომელიც იქილამ მოიტანა ამას წინად ბენედიკტე ბერმა და ჩვენ შემთხვევა მოგვცა იმის განხილვისა და შემოწმებისა სხვა წყაროებთან. აღმოჩნდა, რომ ამ წყაროდამ გამოუკრეფია ცნობა ღვითზე, როგორათაც მართლის-ცხოვრებას, აგრეთვე თვით აზოლიკს: ისე ეთანხმება ორივე ეს წყარო ათონის მანუსკრიპტს, რომ ჩვენს აზრზე ეკვი არ შეიძლება.—რასაც რომ მარტან დიდი ანუ სტეფ-

ნოზ მრბელიანი (XIII საუკ.) საქართველოზე ჩვენ მოგვითხრობენ, ყველა ამ მოთხრობას ეტყობა ქართული მწერლობის კვალი: ცხადია, რომ იგი თითქმის მთლად არის გამოკრეფილი ჩვენის წყაროებიდან. თვითონ მარტან დიდიც და სტეფანოზიც უჭყენებენ ამ წყაროს. მარტანი ამბობს: „ივერიის მეფეთა ისტორიაში“ იმათზე აი რა არისო ნათქვამი, როგორათაც ამას მღვდელი მხიტარი მოგვითხრობსო. ეს მხიტარი, ანელად ცნობილი, როგორც ამტკიცებენ, სცხოვრებდა მე-XII საუკ., მაგრამ იმის ისტორია აქამომდე დაკარგულია. ამ მხიტარს თვით სტეფანოზიც მოიხსენებს და ამასთანავე სტეფანოზს ხელში ჰქონია, როგორც სჩანს, ნამდვილი მართლის-ცხოვრება, რომელსაც ის ამ სახელსეე უწოდს. (იხ. Всеобщ. исторія Вард. вел., издание Эмина, Москва, 1861, стр. 115—116; Brossel, Histoire de la Sionie, 1 livr, p. 212).—ძილვე ერთი საბუთი მართლის გავლენისა სომხურ წყაროებზე. მე-XIII საუკუნის გასულს სცხოვრებდა სხვა მხიტარი პირივანქელი, რომელსაც შეუდგენია „ხრონოლოგიური ისტორია“. შოველივე, რაც ამ ისტორიაში ცნობაა საქართველოზე, ბროსესს გა-

მოუკრეფია და ჩაურთავს Les Ruines d'Ani-ში, p. 160—174. თავის ისტორიაში სხვათა ცნობათა შორის, მხიტარს შეუტანია სია საქართველოს კათალიკოზებისა და მეფეებისა; ამ ისტორიას ის აბოლოებს ღმირტი თავდადებულის სიკვდილით (1273—1289). როგორც თვითვე ამბობს მხიტარი, მას აქ ღედნად ჰქონია ქართული წყარო. ეს წყარო ყოფილა ხუცური, რადგანაც იგი არაჰას უჭყენებს არბაკად, ჯვანშერს—ჯვანშერადაც და ჯვანშერადაც. ამასთანავე მხიტარის ცნობები ეთანხმება უფრო მარტამ ღედოფლის მართლის-ცხოვრებას, ვიდრე აკადემიის ვარიანტს: კათალიკოზთა სიაში მხიტარი არ იხსენიებს მონს სტეფანოზ II-ს დროს, სვიმონს ბიორგი I-ს დროს, მელქისედექს, მქროპირს და ბიორგი ტაოელს ბაგრატ IV-ს დროს, ბაბრიელ საფარელს იმავე ბაგრატიისა და ბიორგი მე-III-ს დროს. ეს კათალიკოზნი არ არიან აგრეთვე მოხსენებულნი არც მარტამ ღედოფლისა და რუმინსკის მუხეუმის ვარიანტებში; ნაჩვენებნი არიან მხოლოდ აკადემიის ვარიანტში. ისიც უნდა გვახსოვდეს აქ, რომ მხიტარის ისტორია თითქმის იმ დროსვე თავდება, რა დროსაც თავდება ძველი

*) იხილვე „დროება“ № 96.

გასტანა შემდეგშიც, თქვენი მტერი, რა დღეც დადგება უიმისოდაც დაზარალებულ სიღნაღის მხარეს.

სიღნაღში აქა-იქ გაჩნდა ქვეყნის. რადგან ჯერ კიდევ არ გავრცელებულა აქ ისე, როგორც ზოგიერთა სხვა სოფლებში და ქალაქებში, ამიტომ სასურველია რომ მალე მიექციონ ყურადღება.

— ბოლოს დროს ქართულ ლიტერატურას ყურადღება მიექცეს, როგორც შერობიულმა, აგრეთვე რუსულმა ჟურნალ-გაზეთებმა. ეს სასიხარულო მოვლენა არის. მართებულს ლიტერატურა არა აქეთა, იძახიან ზოგიერთნი უმცარნი. ლიტერატურისა რა ბრალია, როდესაც არ გაიცნობ და არ შეისწავლი მას. საუკეთესო ლიტერატურულ თხზულებების უცხოენებზე გადათარგმნას ღიღი მნიშვნელობა აქვს ამ უცოდნელობის ფარდის ასახდელად. ამიტომ ჩვენგან მადლობის ღირსია ბ. ტხორაყვესი ბ. შავკვაძის პოემის „განდევნილი“ მშენიერად გადათარგმნისათვის. აი რას ამბობს ამ პოემაზე რუსული გაზეთი „მხო“.

„როდესაც ჩვენს ლიტერატურას თან-და-თან სული ელევა და მოკლებულია გამოჩენილსა და ნიჭიერს მწერლებს, ქართული ლიტერატურა აყვავებულია, მეტადვე მისი პოეზია განთრად ფრთებს იშლის; ამ უკანასკნელსა ჰყავს რამდენიმე ნიჭიერი წარმომადგენელი, რომელთა შორის პატივსაცემი ადგილი უჭირავს თავ. შავკვაძის „ახალი მიმოხილვის“ დღევანდელ ნაშრომში დაბეჭდილია ერთი

ჩვენი მართლის-ცხოვრება. მხიტარს შემოაქვს აგრეთვე თავის ისტორიაში სომხურის ასოებით ქართული სახელები ზოდიაკის ნიშნებისა და სხვათა შეიღთა ვარსკვლავთა.

ახლა, როგორც მკითხველი ჰხედეს, ძველის დროის მართლის-ცხოვრების შინაარსი არა თუ არ არის უარსაყოფელი, არამედ მოითხოვს მეცნიერების მხრივ ყურადღებით შესწავლასა და გამოკვლევას. რომ მომეტებული ნაწილი მართლის-ცხოვრებისა შინაარსის მეფის დროდამ თანა-მედროეთაგან იწერებოდა, ამას ადგილ-ადგილ მართლის-ცხოვრებაზე ცხადად გვიჩვენებს. ზოგიერთთა ეჭვი შექმნდათ და შეაქვთ კიდევ მართლის-ცხოვრებაზე იმ გარემოების გამოცა, რომ მართლის-ცხოვრება არ იხსენიებსო, რომელი მოთხოვრება როდის და ვისგან არისო შედგენილი. ეს მართალია; მაგრამ უმთავრესი ამისი მიზეზი, რომლის განხილვაში არაინ შესულა, იმითი აიხსნება, რომ მართლის-ცხოვრება შეადგენდა სხვა-და-სხვა ვრცელთა კრძორ ხრონიკათაგან გამოწვევს საზოგადო საკითხავს წიგნსა. ამ აზრის საბუთს იმისი შინაარსივე გვაძლევს, როდესაც ვაუწყებ, მაგალ., ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სომეხთასა...“ ...წიგნსა წამებისასა რიფსიმესასა (ბგათანგელის ისტორია). „მი-

იმის თხზულებათაგანი — „მანდგილი“, რომელმაც ჩვენზე მოძიბლავი შთაბეჭდილება იქონია. არ შეგვიძლიან სიამოვნება მოვიკლოთ და არ გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ორი თავი, რომელიც ალალ-ბედზედ მოგვყავს შავკვაძის თხზულებიდან.

შემდეგ მოყვანილია ორი თავი, რომელნიც, ჩვენის აზრით, ამ პოემის უკეთესს ადგილებს არ შეადგენენ, და ბოლოს გავითი უმატებს:

„პოეტისგან დახატული სურათები მოგვგვანებენ ხელოვნურ კალამს თვით „დემონის“ შემქმნელი ლერმონტოვისას.“

— ბაზ. „რუსკი კურიერს“ წარსული აპრილის 28 მისვლია მხილისი-დამ შემდეგი ტელეგრამა: „ქონსტანტინეპოლის ნაციონალურმა კრებამ უარი გამოაცხადა მხიძიძინში დღევგატების გაგზავნაზე და პატრიარხის მოადგილეს მაკარის მიანდა, რომ ის იყოს წარმომადგენლად 130 რსმა-ლელი სომხების ხმისა. ამოჩრევა იქნება მაისის 7, 8- და 9-სა.“

„დროების“ კოკმსონდენსია

თელავი, აპრილის 29-ს. პარილის 25-ს, სალამოს 6 საათზედ, თელავში მობძანდა ბ. გუბერნატორი. 26-ს იყო მოწოდებული თელავის მხარის სოფლების საზოგადოებათა წარმომადგენლები; ხალხი ბლომად მოვიდა სოფლებიდან და ბევრი თხოვნაც მიართვეს.

გუბერნატორმა დაიარა ყველა სამართლ-მადიდებელი სასწავლებლები

თარცა წერილ არს ცხოვრებასა-სხარსთასა...“ ...„ბერძენთასა“. ...„მითარცა წერილ არს სრულსა ცხოვრებასა მისსა...“ „დაიწერა ცხოვრება და სასწავლნი მათნი (მითარმეტთა სირიელთა მამათა) და დაისხნეს ეკლესიათა შინა მართლისათა და აწ ეიწყათ შემოკლებით ცხოვრება მათი.“ ...„რომელი თვითოეულად ჰპოო ცხოვრებასა მათსა (ბუხაზთა მეფეთასა).“ „მითარცა მოგვითხრობს ძველი მატანე ქართლისა.“ „მითარცა მოგვითხრობს წიგნი მეფეთა.“ „და ესე მკირეღნი სიტყვანი ვითარცა თესლის მკრებელმან მიმოგან თესილნი წმინდათა წერილთაგან ერთად შემოაკრიბენ.“ „მითარცა მოგვითხრობს ჩვენ აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით.“ „თუმცა, როგორც ეს გამოწვევრი გვამცნებს, სირიელ მამათა და სხვა წმიდათა გარემოებანი მხოლოდ გაცვრით არიან ნაჩვენები მართლის-ცხოვრებაში და ამასთანავე იმათნი შემადგენელი არ არიან დასახელებულნი, მაგრამ მომეტებულს ნაწილს ამ წმინდათა ცხოვრებისას ჩვენამდე მოუღწევია, რადგან იგინი იკითხებოდენ ეკლესიებში, როგორც ამას მოითხოვდა საეკლესიო წესანი; ამის გამო თვითოეულის მათგანის ავტორე-

და ეგრეთვე საპატიმროც. ხალხი ქიანველასავეთ ფუსფუსებდა მხარის უფროსის სახლთან, სადაც გუბერნატორი იყო ჩამომხტარი. სალამოს ხუთ საათზედ გუბერნატორი გამობძანდა გარეთ, სადაც მთელი გლეხ-კაცობა დახვდა შეკრებილი, ჩადა გლეხ-კაცებში, მომწოდა თარჯიმნობის აღუსრულებელს ბ. შ. — შეილს და სთხოვა, რომ ყოველი ნალაპარაკევი ხმა მალე გადაეცა ხალხისათვის. ხალხი გაიკიბა, თითქმის ბუზის ფრენასაც კი გაიგონებდა კაცი, სანამ ეს სიტყმე არ დაარღვია ბ. გუბერნატორისაგან წარმოთქმულმა შემდეგმა სიტყვებმა.

„მმართველობამ განგათავისუფლათ თქვენ მხოლოდ პირადთ და აზრად ჰქონდა, რომ თქვენ მოსცილებოდით სრულიად მებატონეებს, რომ თქვენსა და მებატონეებს შორის აღარავითარი ბატონ-ქმური დამოკიდებულობა აღარ ყოფილიყო; მაგრამ აგერ ოცი წელიწადი ვადის მას აქვთ და თქვენ კიდევ თავი ვერ განგითავისუფლებით და ვერ შეთანხმებულხართ მებატონეებთან „ნადელის“ შესყიდვებზე; ნუთუ საუშობესო არ არის თქვენთვის სრულიად დამოუკიდებელი შექმნეთ? ნუ თუ არა გრძობთ, რომ თქვენც, ნადელის შესყიდვის შემდეგ, მებატონეებით თავისუფალი მესაკუთრე შექმნებით, და მაშინ, თუ თქვენ არა, თქვენ შეილებს მაინც შექმნება აღამიანური ცხოვრება.“

აქ იგრილა ხალხმა ერთბაშად: — როგორ არა ვგრძობთ, შენი ჰირიმე, ჩვენც ეგ გვინდა.

ბიც ვიცით, ვინ არიან. ამას ვერ ვიტყვით საზოგადოდ საერო კერძო ხრონიკებზე, რადგანაც იმათ ან არ მოუღწევიათ ჩვენამდე, ან ჯერ არ არიან აღმოჩენილნი. მხოლოდ ორისამი შემთხვევა ვიცით, როდესაც მართლის-ცხოვრება მოიხსენებს ავტორებს. აი ეს შემთხვევანი, რომელნიც სიტყვა-სიტყვით შემოგვაქვს: „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა, ვიდრე მახტანგისამდე აღიწერებოდა ქამითი ჟამად. ხოლო მახტანგ მეფისთაგან, ვიდრე აქამომდე აღწერა ჯეანშერ ჯეანშერმან... და ამიგრიოვან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა...“ „ესე არილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოსაგან მართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა და ახლა იოანე დეკანოზმან აღწერა.“ „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადით მოიწიენეს ამას ქვეყანასა ანუ რომლით ჟამითგან უპურიეს მათ მეფობა მართლისა, რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისამ“. რა ეკუთნის მართლის-ცხოვრებაში ანუ მროველს, ანუ ჯეანშერს, ანუ იოანე დეკანოზს არ ვიცით; არ ვიცით აგრეთვე აქამომდე, რა ეკუთნოდა სუმბატს, რადგანაც ამასვედ მხოლოდ შენიშვნა მიწერილი

— მე ესთხოვე, — განაჩიო გუბერნატორმა, — თავდა-ახნაურების წინამძღოლს და მომრიგებელ შუამავლსა, რომ დაგებმარონ თქვენს მებატონეებთან „ნადელის“ შესყიდვის საქმეებში და განგაშორონ სიამ-ტკბილობით; შემდეგ მოისპობა თქვენსა და ნაბატონრებს შორის დავა და უკმაყოფილება და იცხოვრებთ ძმურად ერთმანეთთან. უწინ საქართველოში ყოველი გლეხი, გასაქირი ექმნებოდა რამ, თუ მოსალხენი, უთუოდ თავის ბატონთან მიიქცეოდა რჩევის საკითხავად, ისე როგორც თავის მშობელ-მამასთან; ეგრეთვე ყოველი ქართველი მებატონე ისე ეკიდებოდა და ისე ექცეოდა გლეხებს, როგორც თავის საკუთარ შეილებს. ახლა სადღაა ეგ თვისება? ღღეს რას ვნებდეთ თქვენსა და მებატონეთა შორის?! — სულ დავას, უკმაყოფილებას, ძალადობას, დევნას ერთი მეორისას... რა არის მიზეზი ამ უთანხმოებისა? ის, რომ თქვენ მორბოდით ერთმანეთს მხოლოდ პირად და როდესაც სრულიად განშორდებით და შეიქნებით სრულიად დამოუკიდებელი მესაკუთრე, მაშინ, დარწმუნებული ვარ, თქვენში ისევე ის ძველი ერთობა და სიყვარული ჩამოვარდება და იცხოვრებთ ისევე თანხმობით, მამაშვილურის და ძმურის კავშირით და სიყვარულით. მისაც შეძლება გავქვთ „ნადელის“ შესყიდვისა, ნუ გინდათ ხაზინის ვალი და ვისაც არა გავქვთ შეძლება, აიღეთ ხაზინიდან ვალი და შესყიდეთ ნადელები“.

აქ წამოდგენ ზოგიერთი გლეხები და მოახსენეს: — „გამოსყიდეთ როგორ არ გამოვისყიდით, თქვენი ჰირიმე, მაგდველს აკადემიის პარიანტში; მაგრამ როდესაც მარამ დედოფლის პარიანტი გაჩხრიკეთ, ვნახეთ, რომ აქ სუმბატის ხრონიკა მთლად ცალკეა შეტანილი მართლის-ცხოვრების ტექსტში, იწყობა მე-VII საუკუნეიდან და თავდება მე-XI საუკუნეში ბაგრატ IV დროს. დაბეჭდილს მართლის-ცხოვრებაში კი დაგლეჯილია და აქა-იქ გაფანტული. სუმბატის ვინაობაზე ცნობა არა გვაქვს. ჩვენის ფიქრით, ის უნდა იყოს ტაოელთ ბაგრატიონთაგანი, რადგანაც ამ ბაგრატიონების ისტორია მართლის-ცხოვრებაში ეკუთნის სუმბატს. ამასთანავე მხოლოდ ტაოელთ ბაგრატიონებთა შორის ვნოულობთ რამდენსამე სუმბატს დავითის ძეთა. იქნება იგია უკანასკნელი სუმბატ, რომლის სიკვდილსაც მართლის-ცხოვრება უჩვენებს 1011 წელს და თუმცა სუმბატის ხრონიკა ცოტათი იმის სიკვდილს ვადასცილდება, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს შემდეგი სხვამ განაჩიო. ამ გვარადვე უნდა იყოს აქა-იქ მართლის-ცხოვრებაში დაბნეული თვით მროველისა, ჯეანშერისა და იოანე დეკანოზის ხრონიკები. მნახოთ, იქნება ესეც აღმოჩნდეს რომელსამე პარიანტში. შემო-ხსენებულთ ცნობათა გარდა, ჩვენამდე მოუღწევია სხვა ცნობათაც ძველს ქართულ წყაროებზე, რომელ-

რამა, თუ გვიპატრონებთ და გვიპიროსუფლებთ, ისიც გვიშუამდგომლით, რომ ჩვენ ჩვენინაჭერი მიწები და გვიბრუნონ შესყიდვის დროსა.

ზოგმა ილაპარაკა იმაზედ, რომ — ბევრი ჩვენგანი მიიქცა „ნაღვლის“ შესასყიდად შებატონებთან, მაგრამ ყველას ერთი და იგივე პასუხი გვითხრეს, ყველამ ერთბაშად შეისყიდეთო; ზოგს, შენი ჰირიმე, შეძლება არა აქვს. ბევრმა სხვა საგულისხმიერო სიტყვებიც წარმოსთქვეს...

27-ს ბ. გუბერნატორი წაბანდა სოფ. ახმეტაში; საღამოზედ უკან დაბრუნდა და 28-სა გაემგზავრა მთილისისკენ შომბორის გზით.

რუსეთი

— ხალხის სიღარიბე და შიმშილი დღე და დღე მატულობს რუსეთში. ბრძანდებიან გვიხატავს ერთი ექიმი «ქაზანის ფურცელში»:

«დიდ-ძალი ხალხი იხრავს, კენესის, სტირის და ისეთ ნაირად იმდაბლებს და იმკირებს თავს, რომ მარტო შიმშილს შეუძლიან კაცი აქამდინ მიიყვანოს. შოველ დღე აი ამისთანა სიტყვები გესმის: «ობოლი ვარ, აი რამდენი დღეა, პური არ მიჭამია, შეიღებე შიმშილით მცხაკებთან» და სხვ. მთ ურჩევს ვისმე, წადი ითხოვეო, გიპასუხებს: — ეხლა ვილა გაიკითხავს გლახაკაო? და მართალიც არის, ჩვენ მთხოველი უფრო ბევრი გვყავს, ვიდრე მიმცემი. მარტო მე კი არ მომადგება ხოლმე ეს ამოდენა ხალხი. სხვა ექიმებიც ამ

ნიც არ ვიცით, სად იპოვებინ, კერძო სახლებში, თუ მონასტრების წიგნთა-საცავებში. მაგალითებზე, სად არის ბაგრატი მფოსავან მე-X საუკუნეში შედგენილი „აფხაზეთის ისტორია“, საიღამაც იერუსალიმის პატრიარხს მოსთხოვსა მე-XVII საუკ. ადგილობრივ გამოუკრეფია თავისი ცნობები და რომელიც მართლის ცხოვრების ცნობათაგან განსხვავდებიან? სად არის ანუ ის ისტორია, რომელიც, როგორც მახუშტი გვარწმუნებს, მახტანგ მე-VI-ს ბანებით იყო შედგენილი ბიორგი ბრწყინვალის დროდამ თვით მახტანგ მეფემდე, ანუ ის მასალა, რომელიც მახუშტისვე ჰქონია თავის გეოგრაფიისა და ისტორიის წყაროდ, ესე იგი, «იმერული ძველი გარბეების წიგნი, დავითნი მესხური ხუთ წიგნად განყოფილი *), იმერული სძილის-პირი ეტრატზე, ტლაშადის აღმოწერილი ქორონიკონები, გუჯარნი ბარათიანთა,

*) ამ მესხურ დაკითხვებზე, რომელიც ათიჯერ ფურცლები განსვენებულის მ. იოსელიანის ბიბლიოტეკაში ვიპოვე და რომელიც შეიტაკ და დადგინა საცნობარს ცნობებს, იხილეთ ჩემი წიგნი „Источники истории Вавхушта“. второй выпускъ Извѣстій Кавказскаго Общества исторіи и археологii, რომელიც ამ დღეებში გამოცემა.

მდგომარეობაში არიან. შრომის გამოგებას ხომ მოსვენება აღარა აქვს დამწეულებსაგან. მიდის და მოდის ხალხი იქ, საცა კი ეგულება, რომ პურს მისცემენ; არც პოლიციას ვრდებიან, არც მაზრის უფროსს, არც პრისტავს, არც სამამასახლისო მმართველობას. ამასთან ნუ დაივიწყებთ, რომ ამ ხალხს შინ უპატრონოდ დაუყრია შმიერი ცოლშვილი... თავის სოფელში რომ ვერა უშოვია-რა, ეს ხალხი მიდის სამუშაოდ ან სათხოვენლად ქაზანში, სამარაში, მორენბურგში. მაგრამ ბევრი ვერა შოულობს იქ სამუშაოსა და პურს; მომეტებული ნაწილი სახლში ბრუნდება, ამათ მაგიერ სხვები მიდიან, და ამ რიგად ერთი რალაც გაუთავებელი მოძრაობაა, თუმცა ხალხი მაინც კი ვერა პოულობს, რასაც ეძებს.

მეორე განეთის სიტყვით, ხალხს მათხოვრობა ხელობად გაუხდია, — დრე ეს თავის დღეში არა ყოფილაო. მარტო ერთ საზოგადოებაში, აღწერის შემდეგ 37 კომლი აღმოჩენილა, რომელიც მათხოვრობითა სცხოვრობს, ასე რომ ერთი მებუთელი ყველა მცხოვრებლებისა გლახაკობს. მეორე საზოგადოებაში 50 კომლი ყოფილა, რომელიც «სხვის მოწყალეობით იბრუნებს სულსაო». მომეტებული ნაწილი ამ ხალხისა ცოლშვილით და საქონლით წასულან სამარის გუბერნიაში, საცა იმედი აქვთ, პურის ნამტვრევებს მაინც მოვაგროვებთო. ამასვე უარესი ვაჭირება რალა იქნება! ბლგხ-კაცს ცხენი ვერ გაუმეტნია გასასყიდად და ისევე მათხოვრობას ირჩევს. მოდი ახლა და ვაჭი-

ტუმანიანთა და სხვათა...» (იხილეთ ქართ.-ცხ., II, 237)? სად არიან ის სხვა-და-სხვა გვარნი წყარონი, რომელთაც ბატონი-შვილი თეიმურაზ მოიხსენებს თავის ისტორიაში და რომელნიც თვით იმას ჰქონია ხელში.

ბევრი შრომა გვჭირდება საქართველოს წარსულის ცხოვრების გამოკვლევისათვის. ჩვენ უნდა გამოვიძიოთ და ცნობაში მოვიყვანოთ, სადაც კი, საქართველოში, თუ იმის გარეშე, კერძო სახლებში თუ მონასტრებში და ცულო ჩვენი ხრონიკები. ჩვენ უნდა ვაღმოვწეროთ, თუ ვაღმოვწეროთ ძველის ეკლესიების კედლებიდან, მანუსკრიპტებიდან და საეკლესიო სამკაულებიდან ისტორიული მინაწერები, რომელიც ბლომად მოიპოვებინ და რომელიც, რამდენადაც დრო გადის, იმდენად ჩვენს დაუდევნელობით იღუპებიან. ჩვენ უნდა შევისწავლოთ შინაარსი გუჯარებისა და სიგელებისა, რომელიც ვასაოცარ სიმრავლეს შეადგენენ ამიერ-იმერის საქართველოს კეთილშობილთ სახლებში და სასამართლოებში, რომელთა მნიშვნელობა ცხადად ჩანს იქიდან, რომ ზოგიერთი იმათგანი სიტყვა-სიტყვით არის შეტანილი ჩვენს ძველსა და ახალს მართლის-ცხოვრებაში და რომელთა მხოლოდ მცირედის ნაწილის შესწავლით თვით ბროსსემ საქართველოს პოლი-

ტიკოსი ხალხი, რომ ქურდობენ, ლოთობენ და კაცის მკვლელობას სჩადიანო! ლოთობის მოსასაზრებ კომისიებს რომ ნიშნავენ, შიმშილის მოსასაზრებ კომისიები დანიშნონ ის ემგობინება!

— რადგანაც სახელმწიფო რჩევაში მალე განიხილება სხვა-და-სხვა პროექტები შესახებ ხალხში ლოთობის მოსაზრებისა, ამიტომ პეტერბურგის ხალხის სიმრთელის მზრუნველი საზოგადოების წევრებს ამ დღეებში ექნებათ ყრილობა, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას გამოჩენილი მსწავლული პროფესორები და ექიმები. შრილობაში განიხილავენ, თუ რა მოქმედება აქვს სპირტსა ხალხის სიმრთელეზე. ამ საგანზე ლაპარაკი აღძრულა ახალ-გაზდა სტატისტიკოსი რეინბოტის თხზულების გამო, რომელიც ამას წინად წაუკითხავს ამ საზოგადოების ყრილობაზე. ამ თხზულებაში რეინბოტს მრავალი რიცხვები მოჰყავს, რომლებითაც ამტკიცებს, რომ თუმცა სხვა-და-სხვა ამ საქმისათვის დადგენილი წინააღმდეგის აზრისა არიანო, მაგრამ არყის სმას ძლიერ ცუდი გავლენა აქვს ხალხის სიმრთელეზე და სოფლი-ქამიას ძალიან ხელს უმართავსო. ზოგიერთი კომისიების აზრით, ლოთობა წარმოსდგება არყის სიძვირისაგან და მეტადრე იმისაგან, რომ ხალხს უშნელებენ არყის შოვნასა და ლოთობის მოსასაზრებლად უნდა არაყი გაიფუდესო. რეინბოტი კი ამტკიცებს, რომ არაყზე ბაჟის მომატება ამტკიცებს ლოთობისგან დახორცილის რიცხვსაო. ამ აზრს იგი ამტკიცებს

და საზოგადოებრივ ცხოვრებას ნათელი მოჰქვინა. ჩვენ უნდა გვიცნათ ჩვენ წინა-პართ ნაწარმოები, საეკლესიო და საერო, რომელნიც ჩვენის წარსულის ყოფა-ცხოვრებას და ეკონომიურ მდგომარეობას გამოგვიხატვენ, ანუ გვიჩვენებენ წარმატებას სხვა-და-სხვა ხელოვნებაში, ხელსაქმობაში, არხიტექტურაში, მანუსკრიპტების მინიატურებში (წერილი ხატეობა) და ტაძრების მხატვრობაში, რომელთა შესწავლით შეგვიძლიან, სხვათა შორის, შევიგნოთ, რა დროს, სადა და სად, რა და რა ტან-საცმელი გვქონია. ჩვენ უნდა ჩვენი წყაროები შევამოწმოთ უცხო-ტომთა წყაროებით, სომხურით, სირიულთ, ბერძნულთ, რომაულთ, არაბულთ და სხვ. როდესაც ყველა ეს ცნობები გვექნება შემოკრეფილი და შესწავლული, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ნამდვილის საქართველოს ისტორიის შედგენა.

აი, ჩემის ფიქრით, ჩვენის ისტორიის შესწავლის პროგრამა. მართალია, ძნელია ეს საქმე; ძნელია გაფანტულისა და მიმალულის მასალის შემოკრეფა; ძნელია იმათი მეცნიერული შემუშავება ჩვენის მოუშვადებლობის გამო ამ გვარის მოღვაწეობისათვის, ჩვენის ულონის-ძიებობის გამო. მაგრამ, თუ

სტატისტიკური ცნობებით, ამის ყველაობაზედ ხალხის სიმრთელის მზრუნველი საზოგადოება აპრობს თავის პროექტი შეიმუშავოს ლოთობის მოსაზრების შესახებ და ეს პროექტი წარუდგინოს სახელმწიფო რჩევას.

— ძალაქ ლომეაში ერთი ყმაწვილი კაცი დაუტყრიათ ბილეთის უქონლობის გამო. უკითხავთ ვინაობა და ქალაქ მსტროგიდამ აღმოჩენილა. ჯიბეები რომ გაუჩხრეკიათ, უპოვნიათ წერილი ერთი მსტროგიის ფერშლისაგან ლომეის ფერშალ ბ—სთან მიწერილი. ამ წერილში იგი სთხოვს უკანასკნელს ამ წერილის მომტანი ისე დაამახინჯე, რომ სალდათობას უთუოდ ასცდეს, თორემ ჯერი აქვს წასვლისაო. პოლიციამ წერილი პროკურორს გადასცა. შერშალს ბ—ს სახლი გაუჩხრეკეს და უპოვეს სია ყველა იმ პირებისა, ვინც კი დაუსახიჩრებია სალდათობისგან დასახსნელად.

— პეტერბურგში ერთი უცნაური სასწაულთ-მომქმედი ექიმი გამოჩენილა. მს არის ქალი, გვარად ფ—ტი. ამის მკურნალობა თურმე შემდგენია: ავად-მყოფს ეუბნება, თავიდან რამოდენიმე თმა ამოიძვრე და მომეცო. ამ თმას დაიჭერს ხელში, დაიძინებს და ძილის დროს ავად-მყოფს ხმა-მალლა ეუბნება: ესა და ეს წამალი იხმარეო და ავად-მყოფსაც, როგორცა სწერენ, რგებს ამ გვარი წამლობა.

საზოგადოდ ვგრძნობთ საკუთარის ისტორიის შესწავლის საჭიროებას, ყველა დამაბრკოლებელ შემთხვევათა თავიდან აცილება ადვილია. არის ჩვენში ყმაწვილ-კაცობა მთილისში და მთილისის გარეთ საზოგადო სწავლით შეიარაღებული: განსაკუთრებული ანუ საეკლესიო მომზადებისათვის საჭიროა მხოლოდ შრომა და იმ მეტოდის შესწავლა, რომელიც ახლა გადავიღებულა. ამასთანავე ჩვენ გვეყნან შემძლე პირნიცა, რომელნიც თავის შეძლებას არ დაჰზოგვენ საზოგადო საქმისთვის; გვაქვს ბანკები; გვაქვს ის ლონის-ძიებაცა, რომ, როდესაც საჭიროება მოითხოვს, საზოგადო ღმკრები და სხვა ამ გვარი შუამელოზა მოვიხმაროთ. თავდაპირველად კი აუცილებელი საჭიროებაა, რომ საზოგადოება შესდგეს, რომ ამ საზოგადოებამ წეს-დება შეადგინოს და იმის ხელმძღვანელობით ხელი მიჰყოს შრომას. შამისოდ საუბარი საუბრად დაჩიება და საქმეს წინ ვერ წავევით ვერას დროს.

დ. ბაჭრაძე.

26 აპრილი, 1884 წ.



საქართველო

(„წილილოეთ სასაგანტოსა“)

მისის 3.

მასტარინოსლაპი. სამოსამართლო სადასტამ წოდებრივთა წარმომადგენელთა მონაწილეობით განიხილა საქმე ს. კარაბანოვის ნოვო-მოსკოვის მაზრის მცხოვრებთა ცხრა გლეხისა, რომელთაც ბრალდებოდათ იარაღით მთავრობის წინააღმდეგობა; ეს დანაშაული მათ ჩაიდინეს მაშინ, როდესაც უკრძალავდნენ მემამულის მიზნის ნებადართვებად მიწის ხვნას. სადასტამ გადაუწყვიტა საპატიმროში დამწყვდევა: ერთს ცხრა და ორს თორმეტი თვით; დანარჩენი ექვსი კაცი ვაამართლა.

ბარლინი. რეისტაგმა მესამე წავითხვის შემდეგ მიიღო კანონი საფეთქებელ ნივთიერებათა შესახებ შესწორებით, რის ძალითაც ამ კანონით დადგინდეს სასჯელს მიეცემა მხოლოდ ის პირნი, რომელნიც განძრავ შეინახვენ ამგვარ ნივთიერებათ ბოროტ-მოქმედების მოსახდენად.

ნიუ-იორკი. აქ გამოაცხადეს, რომ ზოგიერთ ბანკებმა ფულის მიცემა შეაჩერეს და ამ ამბავმა ძლიერ შეაშინა აქურები; მაგრამ ბანკებმა გადასწყვიტეს ერთმანეთის დახმარება და ხალხი ისევ დამშვიდდა.

მისის 4-ს.

ამბარაშვილი. დღეს არის გამოცხადებული, რა ცრემლითადაც მემკვიდრე ცესარევიჩმა უნდა დაფიცოს თავის სრულწლოვანების გამო.

ბარლინი. პრინცი ვილჰელმი — გერმანიის იმპერატორის შვილის შვილი — გუშინ სადამოს ამალითურთ წავიდა პეტერბურგში.

პარიზი. მადაგასკარში გასაგზავნი ექსპედიციისათვის თხრობილბენ ოთხ მილიონ ლირას. კრედიტს. ჰუიქრობენ რამდენიმე ზღვის ნაპირას მდებარე ადგილები დაიპყრონ, მაგრამ კუნძული ტერენიჩის დედა-ქალაქში კი ჯერ ჯერობით არა ჰუიქრობენ ექსპედიციის გაგზავნას.

ის ცნობა, ვითომც მადაგასკარში აპირობდნენ გაგზავნას იმ ჯა-

რის ნაწილისას, რომელიც ტონკინში მოქმედობდა, ტუილია.

ნიუ-იორკი. ბანკების გუშინდელ გაკოტრებათა შორის უველაზე ძლიერი მთაბეჭდილება მოახდინა „ჩისკო და გატრას“ გაკოტრებამ, რადგანაც არავინ მოელოდა, მეტადრე იმიტომ, რომ გატრი პრეზიდენტის აქაური ბირჟის კომიტეტისა.


განცხადებანი

საქართველო-იმერეთის სომეხთ-ბრიგადიანის ეპარქიალური კონსისტორიის დაწესებულებაში დანიშნულია.

ვაჭრობა

ამ წლის მაისის 11-ს ხელმოკრულ ვაჭრობის მოუხდენელად იჯარით გაცემად იმ სახლისა, რომელიც შიშაძინის მონასტერს ეკუთვნის და მდებარეობს კრასნოდ. თბილისის პირველს განყოფილებაში. (3-1)

ინგლისური რკინის კარბები



ერთის საწოლი 7 მანეთიდან და ორის საწოლი 14 მანეთიდან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25% -ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაღონი, დასადგმელი, პირის-სახანი, სტაქები, სუფოგანიკი, საწყაო, სკები, რიუპები, გრაფინები, საჭაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, საშაქრეები, სამარილები, გარნიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ავირები, სლისტები, ტანის-მოსის დასაგადებლები, საბალო მაკრატლები, ვაქები, უთოები, წისკილები, ხეჩხები, ქაღები, კლიტები, ინგლისის თოფები და რეკოლეკრები, პიუები, ზარადები, კაშისოლები, საფანჯები, ნიჩბები, ვატერპრუქი, სახეები, ჩულები, წინდები, სუფრები, სალქეტებისათვის რგოლები, ემალანი ჭურჭელი, მურაბები, კამიეტები, პიულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მალაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს უურადლება მიქცეით. (100-7)

თბილისის ძალაძის ბაზარი

აუწყოს ბბ. სახლის-პატრონებს, რომ ამა მაისის 7-დან დამფასებელი კომისიები შეუდგებიან ახლად დაფასებას ყოველ უძრავ ქონებათა, რომელნიც შიგ ქალაქში იმყოფებიან. ამასთანავე გამგეობა სთხოვს ბბ. სახლის-პატრონებს გაუწიონ დამ-

ფასებელ კომისიებს შესაძლებელი დახმარება და წარმოუდგინონ მფლობელობის დოკუმენტები, ცნობები შესაძლებელზე, სამსღერები უჩვენონ და სხვ. შეველა ამ გვარი ცნობები ვრცლად იქნება ჩამოთვლილი საკუთარ უწყებებში, რომელნიც სახლის-პატრონებს გაეგზავნებათ. (3-2)

ინგლისის მალაზიაში

თბილის-ამოქვეყნის

მაღაზიასში

მაკ-მასტერი

ამგრებს თმას და აღრინდელ ფეხს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.




აქვე იყიდება ქინის ზომად თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სწოტები თავის ტკივილის მოსახშობლად, ტუალეტის საშაონი, ღებები და სხვ.

(100-27)

საგლობუსო

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდზე. ერთადერთი სასაგანტო ინგლისის მალაზია. იქვეა აუარებული სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «სელისათვის» — 25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანკერტები, რეკულები, ლაქი, კანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, ზორტ-სიგარები, ალბომები, რამპები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ტარაშები ჭურჭლის საწმედად (ბორაკი) თეთრეული-სათვის, პატარა სალესი იატაკისათვის, კლინგები, ტასტები, საკარმლები, საჩუქები, საგარტლები, ბეზმენი, ზარები, ბანაკლები რეკუტები, ვატერპრუქები, მზის-სათები, კაშასები, ტერმომეტრები, ძეწებები, ნემსები, მაგნიტები, სკისტოკი, ზომიანი, ქამრები, საჩუქელები, პრობები, საპრობები, კანხები, ფილტრები, შოტები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტისანი მაკინტოშები, კრატები, საქვიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.



აბაშაში — 20 კ.

(100-85)

გაზანდა

რკინის ზეზა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 მაისიდან 16 მაისამდე 1884 წ.

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზე და 31 წამ. დილით თბილისიდან მარტო საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

- გამომცემარი ზურა რუხეთის ფეკილისა — 1 გირ. 5 კ.
- აქაურის ფეკილისა: პირ. გელის ხარისხისა — 1 ბ. 3 კ.
- მეორისა — 1 ბ. 2 1/2 კ.
- იმავე ფეკილ. თორნიეში გამომცემარი: პირველი ხარისხისა — 1 ბ. 5 კ.
- მეორისა — 1 ბ. 3 1/2 კ.
- მესამისა — 1 ბ. 3 კ.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

- ფეკრის-მამი ზურა: პირველი ხარის. ღავაში 1 ბ. 5 კ.
- მეორის ხარის. ღავაში 1 ბ. 4 კ.
- მესამისა — 1 ბ. 3 1/2 კ.
- ძროხის ხორცი: პირველის ხარისხისა — 1 ბ. 9 კ.
- მეორისა — 1 ბ. 8 კ.
- სუვი . . . — 1 ბ. 16 კ.
- ცხვრის ხორცი — 1 ბ. 11 კ.
- ღორის ხორცი: პირველის ხარისხისა — 1 ბ. — კ.
- მეორისა — 1 ბ. — კ.

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზე და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზე და 25 წამ. დილით.

მარტო საშურამდინ თბილისში შემოდის 8 საათზე დილით.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (საჩქაროებით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)